პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2023 წლის_ _ დეკემბერი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის " დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482336034; 26/12/2023) წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განთებისა და კეთილმოწყობის ცენტრის" დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული წესდების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განთებისა და კეთილმოწყობის ცენტრის" დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების თაობაზე (დანართი თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიი თავმჯდომარე — მაკა ჭელიძე

დანართი N1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის" წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი" - (შემდგომში ცენტრი) წარმოადგენს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა" და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

2.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი" დაფუძნებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებაა ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი".

3. ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი" თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესდების შესაბამისად.

4. წინამდებარე წესდება წარმოადგენს ორგანიზაციის დამფუძნებელთა შორის დადებული სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილს, რომელიც გამოხატავს მათ ურთიერთთანმხვედრ ნებას და სავალდებულო ძალის მქონეა დამფუძნებლებისათვის.

5. ცენტრის მიზანია არასამეწარმეო (არაკომერციული) საქმიანობა, ამავდროულად ის უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს მისი მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება ორგანიზაციის დამფუძნებლებს, შემომწირველენბს, აგრეთვე ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს შორის დაუშვებელია. ცენტრი უფლებამოსილია მისი საქმიანობის გაანსახორციელებლად შეიძინოს/ მიიღოს მატერიალური და არამატერიალური ქონება, მათ შორის შემოწირულობები.

6. ცენტრს, თავისი მიზნების მისაღწევად, უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული.

7. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრს" აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

8. ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი" საკუთარი სახელით ახორციელებს თავის უფლებებსა და მოვალეობებს, ამყარებს კონტაქტებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან. დებს გარიგებებს და შეუძლია გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ.

9. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის" იურიდიული მისამართია: ქ. წყალტუბო რუსთაველის ქუჩა N 25, ელექტრონული ფოსტა ketilmotskoba15@gmail.com

მუხლი 2. ცენტრის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

1. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი" მიზნები და ამოცანებია:

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კომუნალური და კეთილმოწყობითი კომუნიკაციების მართვა–მოწესრიგება და აღდგენითი სამუშაოების ჩატარება.

ბ)გარე განათების, დეკორატიული განათების, მხატვრული მინათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, საჭირო შემთხვევაში მწყობრიდან გამოსული ქსელების აღდგენითი, აგრეთვე ახალი ქსელების მოწყობითი სამუშოების განხორციელება;

გ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასმელი წყლის ქსელის, სანიაღვრე არხების გაწმენდა, მოვლა-პატრონობა და მათი სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, დაზიანების შემთხვევაში აღდგენითი სამუშაოების ჩატარება;

დ)წყალანირების სისტემის მოწყობა, სანიაღვრე არხების მოვლა–პატრონობა, ცივი ტბისა და ცივი ტბისგან გამომდინარე არხების მოვლა–პატრონობა;

ე) ქუჩების, გაზონების კეთილმოწყობა და პირუტყვისაგან დაცვა.

ვ) ხიდებისა და ტროტუარების მოვლა-პატრონობა.

ზ) სკვერების და პარკების მოვლა-პატრონობა. მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიების გამწვანებაზე ზრუნვა, ხე-ნარგავების მოვლა-პატრონობა, ავარიული, სანიტარული და დეკორატიული ჭრის უზრუნველყოფა, შადრევან-აუზების მოვლა-პატრონობა, დაზიანების შემთხვევაში აღდგენითი სამუშაოების ჩატარება, პარკებში გაზონებსა და სკვერებში ყვავილების დარგვა და მოვლა;

თ) საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობა;

ი) სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით. გზების პროფილის აღდგენითი და თოვლის, სტიქიური მოვლენის დროს გზის საფარის გაწმენდითი სამუშოების განხორციელება;

კ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შუქნიშნებისა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოვლა–პატრონობა;

ლ) ღონისძიებების გატარება (მათ შორის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოწყობა) კეთილმოწყობითი ობიექტების დაცვის, მოვლა-შენახვის უზრუნველსაყოფად;

მ) გარე განათების, დეკორატიული განათების, მხატვრული მინათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, საჭირო შემთხვევაში მწყობრიდან გამოსული ქსელების აღდგენითი, აგრეთვე ახალი ქსელების მოწყობითი სამუშოების განხორციელება;

ნ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის აღკვეთა და ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ ამართალდარღვევათა შესახებ ოქმის შედგენა

ო) გარემოსა და ბუნებათსარგებლობის, მრავალფეროვნების, გადაშენების საფრთხის წინაშე და იშვიათი სახეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით სარგავი მასალის (ნერგის) გამოყვანის უზრუნველყოფა, საკუთარი და სხვა დაწესებულებათა საჭიროებისათვის და მათი რეალიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

პ) ცენტრის მიზნების, ამოცანებისა და ფუნქციების განსახორციელებლად ავტოსატრანსპორტო და ტექნიკური საშუალებების შეძენის, მათი მოვლის, შენახვისა და ექსპლოატაციის უზრუნველყოფა;

ჟ) სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, კორესპონდენციის, საჩივრებისა და მიმართვების განხილვა;

რ) მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის, სამუშაოების, მომსახურების მოცულობის და მიწოდების ვადების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოთხოვნათა შესაბამისობის დადგენის შემდეგ მიღება- ჩაბარების აქტების გაფორმება;

ს) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეთვალყურეოდ დარჩენილი დაცემული პირუტყვისა და ცხოველის ლეშის დამარხვა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ტ) საქართველოს კანონმდებლობით, ამ წესდებით და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილი სხვა ფუნქციების შესრულება.''

მუხლი.3. ცენტრის სტრუქტურა

ცენტრის სტრუქტურა შედგება ცენტრის მმართველის, ადმინისტრაციისაგან, **გარე - განათების, გამწვანება-განაშენიანების, ცენტრალური პარკის ზედამხედველობის, წყალარინების სისტემისა და სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობის უზურნველყოფის სერვისებისაგან.**

მუხლი 4. ცენტრის მართვა და ხელმძღვანელობა

1. ცენტრის საქმიანობას წარმართავს მმართველი.

2. მმართველის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება. მმართველს ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი.

3. მმართველი ვალდებულია მისი არყოფნის პერიოდში აცნობოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს მმართველის მოვალეობის შემსრულებლის შესახებ.

მუხლი 5. „ცენტრის“ მმართველი:

1) წარმართავს და ორგანიზებას უწევს ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრს“ საერთო საქმიანობას;

2)პასუხისმგებელია საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე;

3)კანონმდებლობის შესაბამისად განაგებს ცენტრის ფინანსურ და მატერიალურ საშუალებებს, ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა ცენტრის სარგებლობაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე; დ)კომპეტენციის ფარგლებში დებს გარიგებებს და აფორმებს ხელშეკრულებებს, როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

4)საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ცენტრის თანამშრომლებს, დებს შრომით ხელშეკრულებებს; კანონის ფარგლებში თანამშრომელთა მიმართ იღებს დისციპლინარულ და წახალისების ზომებს;

5)უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოსცემს ბრძანებას, რომელიც მოქმედებს ცენტრის ფარგლებში;

6)წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს დასამტკიცებლად და/ან ცვლილების განსახორციელებლად წარუდგენს საშტატო ნუსხას, სახელფასო განაკვეთს და ხარჯთაღრიცხვას.

7)წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;

8)ანგარიშვალდებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის წინაშე; ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, ანგარიშვალდებულია ცენტრის მმართველის წინაშე;

9) პროფესიული დონის ამაღლების მიზნით შეიმუშავებს და ამტკიცებს პროგრამებს, ახორციელებს ღონისძიებებს.

მუხლი 4.მატერიალური ბაზა და ფინანსები

1. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად ცენტრს გადაეცემა შესაბამისი ქონება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

2. ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

ა)წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები; ბ)საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

გ)ამ მუხლით განსაზღვრული სახსრები კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება მხოლოდ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის“ მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას, ცენტრის სახსრების სხვა მიზნით გამოყენება დაუშვებელია;

3. ცენტრი ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო - ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა - ანგარიშგება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას:

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრს“ შეუძლია მხოლოდ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის და საჭიროების შემთხვევაში; სხვა შესაბამისი ორგანოების თანხმობთ, განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა)უძრავი ქონების შეძენა-დატვირთვა;

ბ)სესხის აღება;

გ)თავდებობა;

დ) საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

ე)სხვა გადაწყვეტილებები ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრს" ქონებასთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 6. საქმიანობის კონტროლი

1. ,,ცენტრი"-ს საქმიანობა ექვემდებარება კანონმდებლობით დადგენილ კონტროლს.

2. ,,ცენტრი"-ს საქმიანობის კონტროლი გულისხმობს, ,,ცენტრი"-ს მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

3. მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი ,,ცენტრი"-ს საქმიანობაზე, კონტროლის განხორციელების მიზნით საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს შესაბამის მასალები და ინფორმაცია.

მუხლი 7. წესდებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესი

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის" წესდებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ წესდების დამტკიცების შესახებ მერის ბრძანების ამოქმედებიდან;

2. თუ ამ წესდების (დამფუძნებლის შეთანხმების) რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე;

3. ამ წესდებისა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482336034**
თარიღი: **26/12/2023**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 21 დეკემბრის N 48. 48233557 ბრძანებით დაიწყო რეორგანიზაციის პროცესი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების" (ს/კ 421277772) გაყოფის (დაყოფის) კუთხით და განისაზღვრა 2 (ორი) ახალი სუბიექტის შექმნა სახელწოდებით: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი" და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი ''. ამავე ბრძანებით დამტკიცებული გეგმის თანახმად მომზადდა აღნიშნული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებების პროექტები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ" პუნქტის ,,დ.ბ." ქვეპუნქტის, ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბერის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ." ქვეპუნქტის თანახმად, გთხოვთ თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის" და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის " დაფუძნებისა და წესდებების დამტკიცების თაობაზე.

დანართი ,,10" ფურცლად.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge